კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

25 წელი უკეთესი ჯანდაცვის სისტემებისთვის

მანდატორული ვაქცინაცია და მწვანე საშვები

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა და რეკომენდაციები

3 დეკემბერი 2022

www.curatiofoundation.org

განმარტებები

- **მანდატორული ვაქცინაცია -** სავალდებულო ვაქცინაცია პროფესიულ საქმიანობაში, რის გარეშეც საქმიანობის დაწყება ან გაგრძელება არის შეზღუდული

- **მწვანე საშვი (პასპორტი)** - ვაქცინაციის, ან მასთან გათანაბრებული მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი, რაც კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის ნებას რთავს

მანდატორული ვაქცინაციის სამართლებრივი ასპექტები

- მე-19 საუკუნიდან მხარდაჭერილია ინგლისის და აშშ-ს უმაღლესი სასამართლოების მიერ (პრეცენდენტული სამართლის პირობებში), როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველი ზომა
- ევროპის რიგ ქვეყნებში (მაგ. საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი) მოქმედებდა ან მოქმედებს რუტინული ვაქცინაციის შემთხვევაშიც პანდემიამდე
- საქართველოში, 2019 წლიდან ეხება რუტინულ ვაქცინაციას და პროფესიული ჯგუფებს
- ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მხარი დაუჭირა სავალდებულო ვაქცინაციას რამდენიმე სარჩელის შემთხვევაში
- პანდემიის პერიოდში უკვე არის რამდენიმე მხარდამჭერი სასამართლო გადაწყვეტილების პრეცენდენტი (აშშ, საფრანგეთი, იტალია).

ძირითადი მიგნებები - მანდატორული ვაქცინაცია

- ეხება **კონკრეტულ ჯგუფებს (პროფესია, დასაქმება, ასაკობრივი ჯგუფი)**
  - ჯანდაცვისა სექტორი, სოციალური სექტორი (ხანგრძლივი მოვლა), განათლების სექტორი, საჯარო სექტორი, 60+ მოსახლეობა
- **მოითხოვს ვაქცინაციის სრულ ჩატარებას** მოთხოვნილი თარიღისთვის
- **არ ჩატარების შემთხვევაში**:
  - დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა
  - უხელფასო შვებულებაში გაშვება (20 დღიდან- 1 წლამდე)
  - სამსახურიდან დროებით გათავისუფლება საბუთის წარდგენამდე
  - სამსახურიდან გაშვება (უკიდურესი, იშვიათი ზომა)

ძირითადი მიგნებები - მანდატორული ვაქცინაცია

- ქვეყნებმა რომელთაც დანერგეს:
  - იტალია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, საფრანგეთი, საბერძნეთი, აშშ, საუდის არაბეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, კოსტა-რიკა, გაერთიანებული სამეფო (სოც.სექტორი)
- ქვეყნები, რომლებიც გეგმავენ:
  - გაერთიანებული სამეფო - აპრილიდან ჯანდაცვის მთელი სექტორი
  - გერმანია - შეტანილია კანონპროექტი პარლამენტში
- გავლენა მოცვის გაზრდაზე კონკრეტულ ჯგუფებში
  - მრავალ ქვეყანაში ახალი ინტერვენცია - შედეგები ჯერ არ არის ცნობილი
  - იტალია (შედარებით ადრინდელი ინტერვენცია) - მონაცემები არ არის გამოქვეყნებული
- უარყოფითი გავლენა
  - პროტესტი, პერსონალის ნებაყოფლობით ან იძულებით გადინება (შესაძლო და წინასწარ გამოყენებულ ხე დაფუძნებული), ერთეული მაგალითი სერვისის დროებით შეზღუდვაზე პერსონალის ნაკლებობის გამო

ძირითადი მიგნებები - მწვანე საშვი (Omicron-ის გავრცელებამდე)

- უმეტესად **3G** მიდგომა
  - *ვაქცინაცირებული* 1 ან 2 დოზით ვაქცინაციიდან 14 დღის შემდეგ (28 დღე J&J ვაქცინაციის შემთხვევაში) ან
  - *უარყოფითი PCR ტესტის* სტატუსი ვალიდური 24-72 სთ გან-ში, ან *უარყოფითი ანტიგენის ტესტი* 24-48 სთ-ის გან-ში ან
  - *გადატანილი ინფექციის შემდგომ პერიოდი* **6 თვის განმავლობაში**
- მკაცრი მიდგომები:
  - აშშ - ვაქცინაციის ან ტესტირების სტატუსი (არ განიხილავს გადატანილ ინფექციას); შოტლანდია - მხოლოდ ვაქცინაციის სტატუსი; ისრაელი - 3G ბუსტერ დოზის ჩათვლით
- ხელმისაწვდომია მობილურ აპლიკაციებში და ქაღალდმატარებელზე
- **გავრცელების არეალები:** საკვები და გასართობი ობიექტები, ღამის კლუბები, ფესტივალები, მასობრივი ღონისძიებები, სპორტული დარბაზები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კონფერენციები, გამოფენები, ესთეტიკის ცენტრები, სასტუმროები, სალოცავის დაწესებულებები (ისრაელი), უნივერსიტეტები (აშშ), ნებისმიერ კერძო თუ საჯარო სამსახურის მომსახურე პერსონალი (*ფაქტობრივად მანდატორული ვაქცინაცია* - იტალია), საზოგადოებრივი ტრანსპორტი (კანადა, გერმანია). **არ ვრცელდება**: დიდ სავაჭრო ცენტრებზე, თუმცა ვრცელდება ცენტრში არსებუო კვებით ან გასართობ ობიექტზე
- **ვრცელდება** მომხმარებლებსა და მომსახურე პერსონალზე

25 წელი
უკეთესი
განათლების სისტემისთვის

მიგნებები - მწვანე საშვების ეფექტები

- **უარყოფითი ეფექტები**
  - **გაყალბება** - უპირატესად ქვეყნებში, სადაც კორუფცია გავრცლებულია ხოლო აღსრულება სუსტი:
    - მომხმარებლების მიერ გაყალბება (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უკრაინა, საბერძნეთი, შოტლანდია)
    - ვაქცინაციის სერვისის მიმწოდებლების მიერ ინფორმაციის გაყალბება(ყაზახეთი, უკრაინა);
  - **საპროტესტო აქციები** (ისრაელი, იტალია, საფრანგეთი), პეტიცია (დანია)
- **ეკონომიკური ეფექტები**
  - სადღეისოდ არ არის შეფასებული
  - წინასწარი მოდელირებით (შოტლანდია) - მწავნე საშვების შემოღებასთან დაკავშირებული **ეკონომიკური გავლენა უფრო ნაკლები იქნება**, ვიდრე დაწესებულებების მთლიანად დახურვა ან შემთხვევების მატების გამო მოქალაქეებისთვის ფართომასშტაბიანი შეზღუდვების გამოცხადება

მიგნებები -მწვანე საშვის დადებითი გავლენა*

- მწვანე საშვის რეგულაციის შემოღებას **აქვს პოზიტიური გავლენა ვაქცინაციით მოცვაზე**
- **მოცვა იზრდება გამოცხადებიდან რეგულაციის ძალაში შესვლამდე (საშუალოდ 20 დღე) და რეგულაციის შემოღებიდან საშუალოდ 40 დღის მანძილზე**
- **მოცვის ზრდა საგრძნობია დაბალი საწყისი მოცვის შემთხვევაში**
- **მოცვა გაიზარდა <20 და 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (ღამის კლუბებისა და დიდი ღონისძიებები)**
- რეგულაციის **მთლიან სამასპინძლო სექტორზე** გავრცელების შემთხვევაში მოცვის იზრდება **30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში**

*ეფუძნება ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ 6 ქვეყანაში (დანია, გერმანია, საფრანგეთი, ისრაელი, იტალია, შვეიცარია) ჩატარებულ კვლევას.
Melinda C. Mills, Tobias Rüttenauer. The impact of mandatory COVID-19 certificates on vaccine uptake: Synthetic Control Modelling of Six Countries. medRxiv 2021.10.08.21264718; doi:https://doi.org/10.1101/2021.10.08.21264718

ცვლილებები რეგულაციებში Omicron-ის გავრცელების საპრევენციოდ

- მწვანე საშვის **2G-ზე გადასვლა** (ტესტირება ამოღებულია) სრულად ან მაღალი გავრცელების არეალებში
- **2G+ შემოღება -** (ტესტირება, როგორც დამატებითი ზომა)
- **ტესტირების ვალიდურობის პერიოდის შემცირება**
- **მწვანე საშვის გავრცელების არეალების გაფართოება**:
  - საზოგადოებრივი ტრანსპორტი
  - არაესენციური სავაჭრო ობიექტები
  - სამუშაო გარემო
- **მანდატორული ვაქცინაციის გაფართოება** ასაკობრივ ჯგუფებში, დასაქმებულ პირებში
- **ბუსტერ დოზა ასაკოვნებისთვის** როგორც მწვანე საშვის პირობა

ეფუძნება გერმანულ ტერმინებს *geimpft* (აცრილი), *getestet* (ტესტირებული) და *genesen* (გამოჯანმრთელებული);
3G - ვაქცინირებული ან ტესტირებუოი ან გამოჯანმრთელებული 2G - ვაქცინირებული ან გამოჯანმრთელებული

დასკვნა

- მანდატორული ვაქც. და მწვანე საშვის გამოცხადებიდან მოკლე დროში **დაფიქსირებულია დღიური მოცვის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა**, რაც დიდი ალბათობით უშუალოდ რეგულაციების ეფექტით აისხნება.
- რეგულაციების შემოტანისას **ზრდა უფრო საგრძნობია მოცვის დაბალი მაჩვენებლების შემთხვევაში**, საწყისი მაღალი მოცვის მაჩვენებლებთან შედარებით.
- ქვეყნებში რეგულაციების შემოღებიდან მცირე დროის გასვლისა და სხვა თანმხლები ინტერვენციების არსებობის გამო ძნელია პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე დასკვნის გაკეთება ***ყველა მიმოხილული ქვეყნისთვის, თუმცა მწვანე საშვისთვის არსებობს კვლევით დადასტურებული დადებითი გავლენის მტკიცებულება*** (მწვანე საშვის დადებითი გავლენა 6 ქვეყნის მაგალითზე მოცვაზე მოცემულია ცალკე ზედა სლაიდზე)
- Omicron-ის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყნებმა **გაამკაცრეს მანდატორული და მწვანე საშვის რეგულაციები**
- დასაქმების სფეროში მომსახურე პერსონალისთვის მწვანე საშვის მოთხოვნები წარმოადგენს იგივე მანდატორული ვაქცინაციას, თუმცა ქვეყნები (მაგ. იტალია, ისრაელი) **იყენებენ მწვანე საშვის კონცეფციას** საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ.

საქართველოს მწვანე პასპორტი

- **არ შეესაბამება** სადღეისოდ არსებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს ბუნებრივი იმუნიტეტის ხანგრძლივობის შესახებ
- **ეწინააღმდეგება** მწვანე პასპორტის დანერგვის მთავარ მიზანს: **ხელი შეუწყოს ბიზნესის და კულტურული აქტივობის გაზრდას ინფექციის გადაცემის რისკის გარეშე**
- **არ უწყობს ხელს ვაქცინაციის პროცესს** მათში ვინც ინფექცია გადაიტანა
- **არ მოდის თანხვედრაში** ევროკავშირის დიგიტალური COVID სერტიფიკატის მოთხოვნასთან
- მხოლოდ მომხმარებლებზე გავრცელების გამო **არ უზრუნველყოფს** მათთვის **უსაფრთხო გარემოს**
- **მოსალოდნელია, რომ მოცვას გაზრდის მარგინალურად ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ურბანულ არეალებში მცხოვრებ პირებში**
- ომიკრონის შტამის გავრცელების კუთხით **ვერ ქმნის დამატებით დაცულობას**

რეკომენდაციები

- *შეიცვალოს მწვანე სტატუსის პირობა და გადატანილი კოვიდინფექციის პერიოდი განისაზღვროს 6 თვით*
- *გაფართოვდეს პასპორტის გავრცელების სფერო იმავე ობიექტებში დასაქმებულ პირებზე.* შესაძლოა განხილულ იქნეს მწვანე საშვის მოთხოვნა იმ დასაქმებულ პირებზე, რომელთაც აქვთ უშუალო შეხება მომხმარებელთან და თანამშრომლებთან (ორ მეტრზე ნაკლები მანძილი სამუშაოს შესრულების დროს). ასევე პირველ ეტაპზე განისაზღვროს სამანსპინძლო ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ემსახურებიან 50 და მეტ ადამიანს.

- *მწვანე საშვის გარცელების სფერო გაფართოვდეს პროფესიულ საქმიანობებზე*, რომელთაც აქვთ ინფიცირების და სერვისის მიმღებისთვის ინფექციის გადაცემის მომატებული რისკი:
    - *ჯანდაცვის სექტორი სრულად*
    - *სოციალური სექტორი*
    - *განათლების სექტორი* (ყველა საგანმანათლებლო, მ.შ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომლები)
- სახელისუფლებო უწყებებში და სახელმწიფო დაქვემდებარებაში დასაქმებულ პირებზე, როგორც სახელმწიფო პასუხისმგებლობის გამოხატულება პანდემიის პერიოდში
    - *სახელისუფლებო უწყებების* (მ.შ ადგილობრივი ხელისუფლების) თანამშრომლები
    - *საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირები*

- მწვანე საშვის მოთხოვნების პროფესიულ ჯგუფებზე გაფართოებისას გეოგრაფიული არეალი უნდა მოიცავდეს მთელს ქვეყანას, ხოლო ***ძალაში შევიდეს საჯარო განცხადებიდან 2-4 თვემდე ვადაში.***
- მიცემული ვადის პერიოდში დიდ დაწესებულებებში მობილური ბრიგადებით ***ადგილზე აცრის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.***
- ვადის გასვლის შემდეგ, თუ შესაბამისი პირები ვერ აკმაყოფილებენ ახალი რეგულაციის მოთხოვნებს, დამსაქმებელმა უნდა განუსაზღვროს **ანაზღაურებადი შვებულება**, შემდგომ **უხელფასო შვებულება** 1 თვიდან 1 წლამდე ვადით (ადგენს დამსაქმებელი), ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ **დროებით გათავისუფლება** დასაქმებული პოზიციიდან.

- გამონაკლისი დაკავშირებული სამედიცინო უკუჩვენებასთან უნდა ***დადასტურდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით*** (ფორმა №IV-100/ა). დადასტურებული სამედიცინო უკუჩვენების შემთხვევაში ***ტესტირების ანაზღაურება*** **უნდა მოხდეს სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში**.
- ***რეგულაციის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა*** დაეკისროს იურიდიულ პირს / დამსაქმებელს, აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი თანამშრომლები აღჭურვილი იყვნენ QR წამკითხველებით, ხოლო **პირის იდენტობის გადამოწმება** მოხდეს პირადობის დამდასტურებელ საბუთით.
- მწვანე პასპორტის პირობები უნდა გადაიხედოს მეცნიერული მტკიცებულებების დაგროვების, ეპიდსიტუაციის შესაბამისად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესების პრიორიტეტიზაციით.

დამატებითი სლაიდები

25 წელი
უკეთესი
განათლების სისტემისთვის

მეთოდოლოგია

- ძიება შემუშავებული ჩარჩოს მიხედვით: რეგულაციის პირობები, გავრცელების სფერო, შემოღების საფუძვლები, რა ინტერვენციები უძღოდა წინ, მტკიცებულებები რეგულაციის შემოღებისთვის, გამოცხადების და ძალაში შესვლის თარიღი, დადებითი შედეგი, (შესაძლო) უარყოფითი შედეგი, მ.შ. მწვანე საშვთან მიმართებაში გავლენა ეკონომიკაზე, რეგულაციის აღსრულება.
- ძიების პერიოდი 25/10/21 – 1/11/21; დამატებითი სწრაფი ძიება ომიკრონთან დაკავშირებით 2/12/21
- 13 ქვეყანა მანდატორულ ვაქცინაციაზე
- 15 ქვეყანა მწვანე საშვზე - სხვადასხვა შემოსავლის მქონე
- წყაროები: მედია საშუალებები, სამთავრობო ვებ გვერდები, Pubmed, Nature.
- ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლები - Our World in Data

მანდატორული ვაქცინაცია მაგალითები

ქვეყანა	ჯგუფები	ინტერვენცია	გამოცხადების თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი	ინტერვენციამდე მოცვა 1 დოზით (მთლიანი მოსახლეობა)
ახალი ზელანდია	სამედიცინო პერსონალი	მანდატორული ეტაპობრივი ვაქცინაცია	11/10/2021	I დოზა - 30/10/2021 II დოზა- 1/12/ 2021	71.28%
	საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები		11/10/2021	I დოზა - 15/112021 II დოზა - 1/01/2022	
	სასჯელაღსრულების სექტორი		11/10/2021	I დოზა - 6/11/2021 II დოზა- 8/12/2021	
კანადა	სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები; |	მანდატორული ორი დოზით, მოცემულ თარიღამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში უხელფასო შვებულებაა	6 /10/2021	29 /12/2021	76.88%
	თვითმფრინავის, მატარებლის და გემის მგზავრები და თანამშრომლები	მანდატორული ორი დოზით სავალდებულო მგზავრებისა და თანამშრომლებისთვის	6/10/2021	30/10/2021	
	კანადის სენატის წევრები და ვიზიტორები	კანადის სენატში არ დაიშვება არცერთი აუცრელი ვიზიტორი, სენატის წევრები, ვიზიტორები, ჟურნალისტები და სხვ.	1/11/2021	1/11/2021	78.44%
იტალია	სამედიცინო პერსონალი (ჯანდაცვის და სოციალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები)	მანდატორული, უარის განცხადების შემთხვევაში გულისხმობს სხვა თანამდებობაზე გადაყვანას (სადაც დაავადების გავრცელების რისკის ნაკლებია, ან სამსახურიდან დროებით გათავისუფლებას 1 წლამდე	31/03/2021	1/04/2021	5.41%
		ბუსტერ დოზა	2/12/2021		
	განათლება, პოლიცია, სამხედროები		2/12/2021	15/12/2021	

მანდატორული ვაქცინაცია მაგალითები

საფრანგეთი	სამედიცინო პერსონალი (საავადმყოფოები, სასწარაფოების, მოხუცებულთა სახლების თანამშრომლები) - 2.7 მლნ ადამიანი	მანდატორული ვაქცინაცია მინიმუმ ერთი დოზით აღნიშნული თარიღისთვის	07/2021	15/09/2021	54.98% (15.07.21)
საუდის არაბეთი|	საჯარო და კერძო სექტორში დასაქამებული ყველა პირი	ინტერვენცია მოიცავს კონტრაქტის გაწყვეტის მრავალსაფეხურიან ეტაპს რაც გულისხმობს ვაქცინაციისთვის გარკვეული დროის მიცემას: თავდაპირველად მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, შემდეგ - ხელფასიანი შვებულება, შემდგომ - 20 დღით უხელფასო შვებულება, შემდგომ - კონტრაქტის გაწყვეტას (უკანასკნელი ვადების ამოწურვის შემდგომ)	18/052021	1/10/2021	53.70%
აშშ	მომუშავეთა ზოგიერთ კატეგორია	მანდატორული ვაქცინაცია ზოგიერთი შტატისა და მუნიციპალიტეტის ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისთვის, რომელიც, ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, გულისხმობს ყოველკვირეულ ტესტირებას ან/და პირბადის ტარების ვალდებულებას	x	x	x
ნიუ იორკი, აშშ	სამედიცინო პერსონალი (საავადმყოფოებში, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში)	ვაქცინაცია მანდატორული გახდა ნიუ იორკის შტატის ყველა სამედიცინო პერსონალისთვის.	აგვისტო, 2021	27 სექტემბერი, 2021	ვაქცინირებული თანამშრომლების % ინტერვენციამდე სამედიცინო - 84% , ზრუნვის -81%, გახანგრძლივებული მოვლის - 77%
	საჯარო სკოლების თანამშრომლები	მანდატორული საჯარო სკოლებში მომუშავე ყველა ადამიანისთვის, რომელიც გულისხმობს ყოველკვირეული ტესტირებას აუცრელობის შემთხვევაში	აგვისტო, 2021	4 ოქტომბერი, 2021	*თანამშრომლების 87%, მასწავლებლების 91% და დირექტორების 97% აცრილია ინტერვენციის ძალაში შესვლამდე*

მანდატორული ვაქცინაცია მაგალითები

როდ აილენდი, აშშ	შტატის ყველა ლიცენზირებულ დაწესებულებაში მომუშავე სამედიცინო პერსონალი, კერძო და საჯარო დაწესებულებებში - საავადმყოფოებსა და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში	სრული მანდატორული ვაქცინაცია, რომელიც გულისხმობს კვირაში ორჯერ აცრასა და პირბადის ტარების ვალდებულებას აუცრელობის შემთხვევაში	10 აგვისტო, 2021	1 ოქტომბერი, 2021	x
ვაშინგტონი, აშშ	მანდატორული ვაქცინაცია სახელმწიფო მოხელეებისთვის, ხელშეკრულებით დასაქმებულებისთვის და ნებაყოფლობით მომუშავეთათვის	მანდატორული ვაქცინაცია სამუშაოს შენარჩუნების წინაპირობით	9 აგვისტო, 2021	18 ოქტომბერი, 2021	68,53% (ინტერვენციის გამოცხადებისას)
ყაზახეთი	მომსახურების გამცემი დაწესებულებები (ბანკი, ფინანსური, სადაზღვეო, სასტუმროები), საცალო და საბითუმო გაყიდვების დაწესებულებები, ტრანსპორტი, აეროპორტი, კომუნიკაციის და ტელეკომუნიკაციის დაწესებულებები	მანდატორული ეტაპობრივი ვაქცინაცია, რომელიც გულისხმობს ტესტირებას კვირაში ერთხელ აუცრელობის შემთხვევაში. ამასთან, რეგულაცია მოიცავს ვალდებულებას რომ სამუშაო ადგილებში, 20% იყოს არადისტანციურ რეჟიმზე, ხოლო 80% დისტანციურ (წითელ ზონებში, როგორიცაა ნურ-სულთანი და ალმატა). აუცრელ პირებს ადგილზე მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.	2 ივლისი, 2021	პირველი დოზა - 15 ივლისი, 2021 მეორე დოზა- 15 აგვისტო, 2021	18.44%
აზერბაიჯანი	სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი, მომსახურების სფეროს წარმომადგენლები და სხვ.	მანდატორული ეტაპობრივი ვაქცინაცია	26 ივლისი, 2021	I დოზა - 1/09/2021 II დოზა - 1/10/2021	25.96%
საბერძნეთი	სამედიცინო პერსონალი	ეტაპობრივი მანდატორული ვაქცინაცია, რომელიც გულისხმობს სამსახურიდან დროებით გათავისუფლებას მოცემულ თარიღებში აუცრელობის შემთხვევაში	12 ივლისი, 2021	1 სექტემბერი, 2021	50.81% სამედიცინო პერსონალის 10% იყო აუცრელი აგვისტოს მონაცემებით
	ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში მომუშავე პირები			12 ივლისი, 2021 (გამოცხადებისთანავე)	
	ომიკრონის საპასუხოდ 60 წლის ზემოთ მოსახლეობა		30 ნოემბერი	16 იანვარი	83% 60 წლის ზემოთ არის მოცული

მანდატორული ვაქცინაცია მაგალითები

საფრანგეთი	სამედიცინო პერსონალი (საავადმყოფოები, სასწარაფოების, მოხუცებულთა სახლების თანამშრომლები) - 2.7 მლნ ადამიანი	მანდატორული ვაქცინაცია მინიმუმ ერთი დოზით აღნიშნული თარიღისთვის	07/2021	15/09/2021	54.98% (15.07.21)
საუდის არაბეთი	საჯარო და კერძო სექტორში დასაქამებული ყველა პირი	ინტერვენცია მოიცავს კონტრაქტის გაწყვეტის მრავალსაფეხურიან ეტაპს რაც გულისხმობს ვაქცინაციისთვის გარკვეული დროის მიცემას: თავდაპირველად მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, შემდეგ - ხელფასიანი შვებულება, შემდგომ - 20 დღით უხელფასო შვებულება, შემდგომ - კონტრაქტის გაწყვეტას (უკანასკნელი ვადების ამოწურვის შემდგომ)	18/052021	1/10/2021	53.70%
აშშ	მომუშავეთა ზოგიერთ კატეგორია	მანდატორული ვაქცინაცია ზოგიერთი შტატისა და მუნიციპალიტეტის ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისთვის, რომელიც, ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, გულისხმობს ყოველკვირეულ ტესტირებას ან/და პირბადის ტარების ვალდებულებას	x	x	x
ნიუ იორკი, აშშ	სამედიცინო პერსონალი (საავადმყოფოებში, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში)	ვაქცინაცია მანდატორული გახდა ნიუ იორკის შტატის ყველა სამედიცინო პერსონალისთვის.	აგვისტო, 2021	27 სექტემბერი, 2021	ვაქცინირებული თანამშრომლების % ინტერვენციამდე სამედიცინო - 84% , ზრუნვის -81%, გახანგრძლივებული მოვლის - 77%
	საჯარო სკოლების თანამშრომლები	მანდატორული საჯარო სკოლებში მომუშავე ყველა ადამიანისთვის, რომელიც გულისხმობს ყოველკვირეული ტესტირებას აუცრელობის შემთხვევაში	აგვისტო, 2021	4 ოქტომბერი, 2021	*თანამშრომლების 87%, მასწავლებლების 91% და დირექტორების 97% აცრილია ინტერვენციის ძალაში შესვლამდე*

მწვანე საშვის მაგალითები

ქვეყანა	ინტერვენცია მწვანე საშვი	გავრცელების სფერო	უარყოფითი შედეგები	გამოცხადების თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი	მოცვა 1 დოზით გამოცხადებისას (მთლიანი მოსახლეობა)
უელსი	2G: ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი ტესტი	ღამის კლუბები, დახურულ სივრცეში >500 ადამიანი, ღია სივრცეში - >4000, ნებისმიერი სხვა ღონისძიება >10 000.	მწვანე საშვის გაყალბების ფაქტები.	17/09/2021	11/10/2021	86%
შოტლანდია	ვაქცინაცია ორი დოზით +14 დღე	ალკოჰოლისა და მუსიკის არსებობის შემთხვევაში ღამის დაწესებულებები, დახურულ სივრცეში >500 ადამიანის შემთხვევაში, ღია სივრცეში - >4000, ნებისმიერი სხვა ღონისძიება >10 000.	დაწესებულებებში შექმნილი რიგების გამო არეულობა, თანამშრომლების შეურაცხყოფის ფაქტები, საწყის ეტაპზე ზოგიერთ დაწესებულებას მოუწია დათქმულ დროზე ადრე დაკეტვა.	28/09/ 2021	18/10/2021	91.9%
ისრაელი	3G: ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი ტესტი დადებითი სეროლოგიური ტესტი გამოჯანმრთელება (6 თვე); 2 ოქტომბრიდან მხოლოდ ბუსტერ დოზა	მომხმარებლები: გასართობი და კულტურული ღონისძებები, კვების ობიექტები, ფიტნეს დარბაზები, სამლოცველოები. დასაქმებულები ჯანდაცვის, სოციალური სექტორებში, გასართობ და რეკრიაციული სფეროში, რომელთაც აქვთ უშუალო შეხება პაციენტთან/კლიენტთან. ჯარიმა - 1,550-3,100 აშშ დოლარი იურიდიული პირისთვის	საპროტესტო აქციები; უმაღლეს სასამართლოში საჩივრები.	15/02/ 2021	21/02/2021	43.06%
იტალია	3G: ვაქცინაცია ერთი ან ორი დოზით უარყოფითი პჯრ (72 სთ) ან ანტიგენის ტესტი (48 სთ) გამოჯანმრთელება (6 თვე)	კონცერტები, სპორტული ღონისძიებები, მუზეუმები, აუზები, ფიტნეს დარბაზები, ყველა კერძო და საჯარო სამსახური, ტრანსპორტი, სასწავლო დაწესებულებები და სხვ. მომხმარებელი და დასაქმებული პირები (15 ოქტომბრიდან)	საპროტესტო აქციები, ბლოკადები და საზოგადოებრივი არეულობა; საწყის ეტაპზე პირველ დოზაზე რეგისტრაციამ იკლო და სწრაფი ტესტის რაოდენობამ იმატა.	22/07/2021	06/08/2021	61.59%
	ომიკრონის საპასუხოდ: „სუპერ მწვანე საშვი“ (2G ანალოგი)	დახურული კვებითი ობიექტები, ღამის ბარები, სპორტული დარბაზები, მუზეუმები, აუზები, ფიტნეს დარბაზები				
	„ბაზისური მწვანე საშვი (3G ანალოგი)	ტრანსპორტი, დასაქმებული პირები				

25 წელი
უკეთესი
ბანკთაშორისი ინსტიტუციონალური

მწვანე საშვის მაგალითები

საფრანგეთი	**3G: ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი ტესტი (72 სთ) გამოჯანმრთელება (12 კვირა)**	**გასართობი და კულტურული ღონისძიებები, კვების ობიექტები, სამედიცინო და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები, საქალაქთაშორისო ტრანსპორტი და სხვ.**	**საპროტესტო აქციები, 150 ქალაქში გამართული მსვლელობები ასიათასობით ადამიანის ჩართულობით.**	**12/07/2021**	**21/07/2021**	**53.8%**
	ბუსტერ დოზა 65 წლის ზემოთ მოსახლეობა	ზემოთ აღწერილი			15/12/2021	
გერმანია	3G: ვაქცინაცია ორი დოზით; უარყოფითი პჯრ (72 სთ) ან ანტიგენის ტესტი (48 სთ); გამოჯანმრთელება (6 თვე)	კვებისა და გასართოები ობიექტები, სასტუმროები, ესთეტიკის ცენტრები, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები.		03/08/2021	23/08/2021	61.81%
	ომიკრონის საპასუხოდ: 3G:	საზოგოდოებრივი ტრანსპორტი; სამუშაო ადგილები			19/11/2021 და მეტი გამკაცრება 02/12/2021	
	2G: ვაქცინაცია ორი დოზით ან გამოჯანმრთელება (6 თვე)	კვებისა და გასართოები ობიექტები, სასტუმროები, ესთეტიკის ცენტრები, არაესენციური სავაჭრო ობიექტები				
	2G+: ვაქცინაცია ორი დოზით ან გამოჯანმრთელება (6 თვე) და ტესტირება	მაღალი გავრცელების არეალებში				
შვეიცარია	3G: ვაქცინაცია ერთ ან ორი დოზით უარყოფითი პჯრ ან ანტიგენის ტესტი (48 საათი) გამოჯანმრთელება (6 თვე)	გასართობი და კულტურული ღონისძებები, კვების ობიექტები, დახურულ სივრცეში ღონისძიებები.		19/05/2021	07/07/2021	30.08%
დანია	ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი პჯრ ან ანტიგენის ტესტი (72 საათი) გამოჯანმრთელება (6 თვე)	თავის მოვლის ცენტრები, ღია და დახურულ სირცეში ჩატარებული ღონისძიებები, ყველა სხვა ღონისძიებები.	პეტიცია ახალი რეგულაციის წინააღმდეგ ათიათასობით ადამიანის ხელმოწერით.	04/02/2021	06/04/2021	3.10%

მწვანე საშვის მაგალითები

ავსტრია	**ვაქცინაცია ორი დოზით +22 დღე უარყოფითი პჯრ (72 სთ) ან ანტიგენის ტესტი (24 სთ) გამოჯანმრთელება (180 დღე)**	**კვებისა და გასართოები ობიექტები, სასტუმროები, ღია და დახურულ სივრცეში ჩატარებული ღონისძიებები.**		**05/06/2021**	**43.60% (ძალაში შესვლისას)**
აზერბაიჯანი	ვაქცინაცია ორი დოზით გამოჯანმრთელება (6 თვე)	რესტორანები, სავაჭრო ცენტრები, სპორტული ღონისძიებები, კინოთეატრები, ქორწილები.	მწვანე საშვების გაყალბების ფაქტების მკვეთრი ზრდა.	01/09/2021	40.88%
ყაზახეთი	ვაქცინაცია ორი დოზით გამოჯანმრთელება	გასართობი და კულტურული ღონისძებები, კვების ობიექტები, სამთავრობო ოფისების საჯარო სივრცეები.	გრძელ რიგებთან დაკავშირებით გამოთქმული უკმაყოფილება; მომხმარებლების მიერ დაწესებულების დატოვების ფაქტები; საშვების გაყალბების მაღალი მაჩვენებლები როგორც მომხმარებლების მიერ, ასევე, სერვისის მიმწოდებლების მიერ; ვაქცინაციის ცენტრალურ სისტემაში ცრუ ინფორმაციის შეტანა.	01/07/2021	17.97%
უკრაინა	ვაქცინაცია ერთი ან ორი დოზით უარყოფითი ტესტი (72 სთ) გამოჯანმრთელება	კინო, თეატრი, ფიტნეს დარბაზი, საცურაო აუზი.	მწვანე საშვის გაყალბების ფაქტები; ყალბი მწვანე საშვები ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, უცხოელებისთვისაც.	20/09/2021	14.7%
აშშ ნიუ იორკი	ვაქცინაცია ერთი ან ორი დოზით	ბარები, რესტორნები, ფიტნეს დარბაზები.		13/09/2021	70.8%
კალიფორნია	ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი ტესტი (72 სთ)	შიდა სივრცეში გამართული ღონისძიებები >10 000 ადამიანი		23/09/2021	65.3%
ლუიზიანა	ვაქცინაცია ორი დოზით უარყოფითი ტესტი	კვების დაწესებულებები, სპორტული ღონისძიებები, კაზინოები, ფიტნეს დარბაზები, ღია სივრცეში ღონისძიებებზე >500 ადამიანი		23/08/2021	45.3%

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

25 წელი უკეთესი ჯანდაცვის სისტემებისთვის

www.curatiofoundation.org